რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშალთა პარტია
Пролетарійнъ уміра ідіотъ, Всемірнодит!

ზრაქოლა

ᲨᲐᲒᲐᲗᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1917 Წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოგზავნის შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები - რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ᲤᲐᲡᲘ 10 Კ.

№ 43 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 43

ᲖᲐᲕᲖᲔᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲒᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲖᲐᲕᲡ. ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐᲡ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲔᲑᲘᲡ

ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუპირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲖᲐᲕᲡ!

13 ნოემბერს დღის 11 საათზე უმაღლესმა მთავარსარდალმა გაგზავნა პარლამენტიორები გერმანიის ფრონტზე შემდეგი რწმუნებით: „რუსეთის რესპუბლიკის სახელით, სახალხო კომისარიატის საბჭოს რწმუნებით, მე სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და უმაღლესი მთავარსარდალი რუსეთის რესპუბლიკის ჯარებისა, რწმუნებას ვაძლევ პარლამენტიორობის: მე-9 გუსართა პოლკის პოლკის პორუჩიკს ვლადიმერ ნიკოლაევიჩ ბოგუსლავსკის და მ. ხუთი არმიის კომიტეტის წევრებს ეფიმს მიხეილ საგალოვიჩს და ალექსანდრე გიორგი მერენს, მიმართონ გერმანიის ჯარის უმაღლეს უფროსს ამ დებულებებზე, სადაც პარლამენტიორები ჩენენიან მიღებული და შეეკითხონ გერმანიის ჯარის უმაღლეს მთავრობას, თანახმა არის. იგი თუ არა, გამოგზავნოს თავისი რწმუნებულები, რომ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას მოლაპარაკება მეზობელ ქვეყნების ყველა ფრონტებზე დროებითი ზავის დამყარებლათ ამ მიზნით, რომ ამის შემდეგ დაწყებულ იქნას სამშვიდობო მოლაპარაკება. ამ შემთხვევაში, თუ გერმანიის ჯარის უმაღლესი მთავრობა დამაკმაყოფილებელ პასუხს მისცემს, პარლამენტიორებს ეკვრება დანიშნონ დრო და ადგილი ორივე მხარეების რწმუნებულთა შესახვედრათ".

3 საათსა და 50 წუთზე პარლამენტიორები გასცდენ მოწინავე ხაზს და 4 საათსა და 10 წუთზე დაუბრკოლებლათ შევიდნენ გერმანელების სანგრებში.

ეი თვით პარლამენტიორები როგორ ასწერენ თავის მოგზაურობას (ამის შესახებ ათი ხელმოწერილი ოქმია შედგენილი).

დღის 4 საათსა და 20 წუთზე ჩვენ გავედით მოსკოვის ქვეითი პოლკის ბანაკზე და სანგრიდან კი, თანახმათ საერთაშორისო ხელშეკრულობისა, თეთრი ბაირაღით და მეპუკით, 300 ნაბიჯზე ეარეთ წოდებულ ჰანოვერის მავთულ ხლართიდან, ჩვენ მოგვეგებენ გერმანელი ოფიცრები. საღამოს 5 საათზე, თვალებ-აბეულნი ჩვენ მიგვიყვანეს გერმანიის ჯარის ბატალიონის შტაბში, რომელიც დგას ჰანოვერის ბანაკში, და ხუთ საათსა და 40 წუთზე ჩვენ გადავეცით შტაბის დივიზიიდან ამ მიზნით მოსულ გენერალური შტაბის ორ გერმანელ ოფიცერს ჩვენი წერილობითი რწმუნება, რომელიც მიცემული გვქონდა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარისა და რუსეთის რესპუბლიკის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლისაგან. მოლაპარაკება ფრანგულ ენაზე სწარმოებდა. ჩვენი წინადადება მეზობელ ქვეყნების ყველა ფრონტებზე დროებითი ზავის დამყარების შესახებ მოლაპარაკებაზე, რასაც შემდეგ მიზნათ ექნება ზავის შეკვრა, დაუყოვნებლათ გადასცეს დივიზიის შტაბში და იქიდან პირდაპირი მავთულით გადასცეს მთელი ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლის შტაბს, პრინც რუპერიტს და გერმანიის ჯარების უმაღლეს მთავარსარდალს.

6 საათსა და 20 წუთზე ჩვენ ავტომობილით მივგვიყვანეს დვინს-პონვეიეის შარა-გზით პასენში, სადაც ჩვენ ოფიციალურათ მივგვიღო დივიზიის გენერალმა გოფმეისტერ-მა სამეზობლო პარადის ფორმაში, რომელსაც ზედ ქონდა გერმანული უმაღლესი ორდენები, ვარსკვლავები და ლენტი და გარშემორტყმული იყო შტაბის მოხელეებით. გენერალმა გოფმეისტერმა გამოგვიცხადა ჩვენ, რომ ჩვენი რწმუნება კანონიერათ არის ცნობილი, ჩვენი წინადადება გადაეცა ჯარის უმაღლეს მთავრობას და პასუხი 24 საათში მივიღო. მაგრამ საღამოს 7 საათსა და 50 წუთზე უკვე მოვიღეთ პირველი პასუხი გერმანიის უმაღლესი მთავრობიდან, სადაც თანხმობა იყო გამოცხადებული დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზე იმ პრინციპების თანახმათ, რომელიც აღნიშნული იყო ჩვენს წერილობით რწმუნებაში, თან გენერალ გოფმეისტერს და პარლამენტიორებს უფლება ეძლეოდა გამოეუშვებიათ დაწერილებით პირობები მეზობელ ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრისა, აზრთა გაზიარების შემდეგ რუსულ, ნემეცურ და ფრანგულ ენებზე და ხელ-ახალი შეკითხვისა პირდაპირი მავთულით გერმანიის უმაღლეს მთავრობასთან. საღამის 12 საათსა და 20 წუთზე 14 ნოემბერს ჩვენ გადმოგვცა გენერალმა გოფმეისტერმა თავისი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული წერილობითი პასუხი ჩვენს წერილობით წინადადებაზე. რადგანაც ჩვენი წინადადება რუსულ ენაზე იყო დაწერილი, პასუხი ჩვენ გადმოგვცეს ნემეცურ ენაზე. ეი ეს პასუხია:

1. გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი მზათ არის დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის უმაღლეს მთავარსარდალთან,

2. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდალი რწმუნებულ აძლევს გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალს გამართოს მოლაპარკება დროებითი ზავის დამყარების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის უმაღლესი მთავარსარდალი მზათაა აწარმოვოს მოლაპარაკება გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალთან, სთხოვენ მას გამოგზავნოს რწმუნებულები, რომელთაც უნდა ექნეთ წერილობითი საბუთები, გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლის მთავარ ბინაკში.

4. გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი სწორეთ აგრეთვე შეადგენს კომისიას, რომელსაც ექნება სპეციალური რწმუნება,

5. ორივე კომისიის შეხვედრის დღე და საათი შეიძლება დანიშნოს რუსეთის უმაღლესმა მთავარ-სარდალმა. საჭიროა დროებითათ შეტყობინება გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლისათვის, რომ მომზადებულ იქნეს საგანგებო მატარებელი. უნდა იყოს ნაჩვენები, რა აფეთილს ფიქრობს რუსეთის კომისია ფრონტზე გადასვლას.

6. გერმანიის ალმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი მისცემს საჭიროა აპარატს, რომ მოეწყოს პირდაპირი მავთული კომისიასა და რუსეთის ჯარის უმაღლეს მთავრობასთან. კომისიას უფლება აქვს წამოიღოს თან ი

ყველა თავის ადგილზე იყოს. მხოლოთ ძლიერი მიაღწევს თავისას.

გაუმარჯოს მოახლოებულ ზავს.“

ხელს აწერს უმაღლესი მთავარ-სარდალი კრილენკო.

სახალხო კომისარების საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მეომარ ქვეყნების ხალხს.

„პასუხათ ჩვენი წინადადებისა შესახებ ყველა ფრონტებზე დაუყოვნებლივი დროებითი ზავის დამყარებისა, იმ მიზნით. რომ შეკრულ იქმნას დემოკრატიული ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, ხალხთა თვით-გამორკვევის უფლების უზრუნველყოფით, გერმანიის მთავარ სარდალმა გვიპასუხა, რომ ის თანახმაა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე. რესპუბლიკის ჯარის უმაღლესმა მთავარსარდალმა პრაპორშჩიკმა კრილენკომ წინადადება მისცა გადაეცეთ დროებით ზავზე მოლაპარაკების დაწყება 5 დღით 19 ნოემბრამდე (ახალი სტილით 1 დეკემბრამდე), რათა ხელ-ახლა მივსცეთ წინადადება მოკავშირე მთავრობებს გაარკვიონ თავისი დამოკიდებულება სამშვიდობო მოლაპარაკების საქმესთან. საერთო შეთანხმებით სამხედრო მოქმედება რუსეთის ფრონტზე შეწყვეტილია. არავითარი გადაჯგუფება ჯარისა ამ ხუთ დღეში, თავის თავათ იგულისხმება, არც ერთი მხრიდან არ უნდა მოხდეს.

გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმულია. რუსეთის მუშათა და გლეხთა ძლევამოსილმა რევოლიუციამ პირდაპირ დააყენა საკითხი ზავის შესახებ. ჯითავდა ხანა რყევისა, გაჭიანურებისა, კანცელიარული შეთანხმებისა. ამ ჟამათ ყველა მეომარ ქვეყნების ყველა მთავრობები, ყველა კლასები, ყველა პარტიები მოწოდებული არიან კატეგორიული პასუხი მოგვცენ შემდეგ კითხვაზე: თანახმა არიან თუ არა ისინი 19 ნოემბერს (1 დეკემბერს) ჩვენთან ერთათ შეუდგენ მოლაპარაკებას დაუყოვნებლივი დროებითი ზავისა და საერთო ზავის შესახებ. ჰო თუ არა! ამ პასუხზეა დამოკიდებული აიცილებენ თუ არა ზავოდების და მიწის მუშაკნი საზამთრო კამპანიას მთელი მისი საშინელებით და უბედურობით, თუ ევროპა შემდეგშიაც სისხლიდან უნდა იცლებოდეს.

ჩვენ, სახალხო კომისარების საბჭო, მივმართავთ მოკავშირე ხალხებს და პირველ ყოვლისა, მათ მშრომელ მასას: თანახმა არიან თუ არა ისინი შემდეგშიაც განაგრძონ უაზრო და უმიზნო სისხლის ღვრა და ბრმათ იარონ იმ გზით, რომელიც ღუპავს მთელი ევროპის კულტურას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოკავშირე ქვეყნების მუშათა პარტიებმა დაუყოვნებლივ გვიპასუხონ შემდეგ კითხვაზე: უნდათ თუ არა მათ, რომ დაიწყოს 1 დეკემბერს სამშვიდობო მოლაპარაკება.

კითხვა პირდაპირ არის დასმული. საღდათებო, პროლეტარებო, მშრომელნო, გლეხებო, გინდათ თუ არა ჩვენთან ერთათ გადადგმ გადამჭრელი ნაბიჯი ხალხთა შორის ზავის დასამყარებლათ.

ჩვენ, სახალხო კომისარების საბჭო, მივმართავთ გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ოსმალეთის, ბოლგარიის მუშათა მასას. ზავი, რომლის წინადადებასაც ჩვენ ვიძლევით, უნდა იქნეს ხალხების ზავი. ის უნდა იყოს პატიოსანი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ ეგზისტენციის თავისუფლებას. სული ზავი შეიძლება დამყარდეს მხოლოთ რევოლიუციონერი მასის გაბედული ბრძოლით წინააღმდეგ ყველა იმპერიალისტურ პლანებისა და ტენდენციებისა.

მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ უკვე წამოაყენა თავისი პროგრამა ზავისა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ საიდუმლო ხელშეკრულებები მეფისა და ბურჟუაზიისა დადებული მოკავშირეებთან და გამოვაცხადეთ; რომ ეს ხელშეკრულებები რუსეთის ხალხისთვის სავალდებულო არ არის. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა ხალხებს აშკარათ შეკრათ ახალი კავშირი შეთანხმების და თანაშრომლობის საფუძველზე.

მოკავშირე ქვეყნების მართველ კლასების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ჩვენს წინადადებაზე გვიპასუხეს, რომ ისინი არ სცნობენ სამშვიდობის მთავრობას და უარზე არიან ჩვენთან შეთანხმებაზე სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებათ. ძლევამოსილი რევოლიუციის მთავრობა არ საჭიროებს, რომ ის სცნოს კაპიტალისტური დიპლომატიის პროფესიონალებმა. მაგრამ ჩვენ ვეკითხებით ხალხებს: გამოხატავს თუ არა რეაქციონური დიპლომატია მათ აზრებს და მისწრაფებებს? თანახმა არიან თუ არა ხალხები დიპლომატიის წყალობით გაუშვან დიდებული შემოხვევა ზავის დამყარებისა, რომელიც შექმნა რუსეთის რევოლიუციამ? პასუხი ამ კითხვებზე უნდა მოგვცეს ახლავე და პასუხი უნდა იქნეს არა სიტყვით, არამედ საქმით. რუსეთის ჯარს და რუსეთის ხალხს აღარ შეუძლიათ და არცა სურთ მეტი ლოდინი. 1 დეკემბერს ჩვენ შეუდგებით სამშვიდობო მოლაპარაკებას. თუ მოკავშირე ხალხები არ გამოგზავნიან თავის წარმომადგენლებს, ჩვენ გერმანელებთან მარტო შეუდგებით მოლაპარაკებას. ჩვენ საყოველთაო ზავი გვინდა. მაგრამ თუ მოკავშირე ქვეყნების ბურჟუაზია გვაიძულებს ჩვენ შევკრათ სეპარატიული ზავი, პასუხის გებაც მთლათ მას დაეწვება.

საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, შეერთებული შტატების, ბელგიის, სერბიის სალდათებო, მუშებო და გლეხებო, ჩვენ ველით თქვენს წარმომადგენლებს. საქმეს შეუდექით. ნუ დაკარგავთ ნურც ერთ საათს.

ძირს საზამთრო კამპანია, ძირს ომი!

გაუმარჯოს ზავს და ხალხთა ძმობას.

გარეშე საქ. კომისარი **ლ. ტროცკი.**

სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე. **ნ. ლენინი**

ყველა ამ ცნობებს ზავის შესახებ მენშევიკები და ესერები მთელი კვირის განმავლობაში უმალავდენ კავკასიის მცხოვრებთ, ჩვენ შეძლება მოგვეცა მათი გამოქვეყნებისა მხოლოთ ახლა, როცა ფოსტამ სტატეტა გაზეთები მოგვიტანა.

კალედინთან, კალედინთან!

ამიერ-კავკასიის მთავრობის შესახებ ჩვენ იმ თავითვე შევადგინეთ გადაჭრილი აზრი და დავახასიათეთ ის, როგორც კონტრ-რევოლიუციონური ძალა. ეს მთავრობა არ სცნობს ოქტომბრის რევოლიუციას, არ სცნობს ამ რევოლიუციის მიერ შექმნილ მუშების და გლეხების მთავრობას, კავშირს სწყვეტს რევოლიუციონურ რუსეთთან და უკავშირდება კონტრ-რევოლიუციონერ კალედინს და იმპერიალისტ ბიუკენენს. ამ მთავრობის შექმნა არ მოასწავებს ერის თვით-გამორკვევას, ეს კონტრ-რევოლიუციის თვით გამორკვევაა რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართული,

ჩვენი ანალიზი ზედმიწევნით სწორი გამოდგა. ამიერ კავკასიის მთავრობის ოფიციოზი „ერთობა“ გვატყობინებს, რომ გეგეჭკორმა უკვე გაბა კავშირი კალედინთან და მის მსგავსებთან და მათთან საერთო მოქმედების გეგმას იმუშავებს. მოგვყავს „ერთობიდან“ ეს ცნობა სავსებით.

„ამიერ კავკასიის კოშისარიატის თავმჯდომარემ ამხ. ევგენი გეგეჭკორმა დეპეშით მიმართა ყუბანის დრ. მთავრობისა და თერგის ოლქის ყაზაზებისა და ჩრდილო კავკასიის მთიულთა გაერთიანებულ დრ. მთავრობის თავმჯდომარეებს და სთხოვა მათ, რომ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი 27 ნოემბრისათვის თბილისში ერთგვარი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ“.

ვინც კავშირს სწყვეტს რუსეთის რევოლიუციასთან, ის კალედინს უნდა დაუკავშირდეს, სხვა გზა არ არის. მაგრამ კალედინის მოკავშირეებმა კალედინის ბედიც უნდა გაიზიარონ. არც აქ არსებობს სხვა გზა.

მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

(დასასრული).

გერმანიაში იუნკერებმა (მემამულენი) და კაპიტალისტებმა შემოიღეს საერთო შრომის ბეგარა, რომელიც მუშებისთვის სამხედრო კატორღათ გადაიქცა. მაგრამ წარმოვიდგინოთ იგივე წეს-წყობა (შრომის ბეგარა) რევოლიუციონურ დემოკრატიულ სახელმწიფოში და ჩაუკვირდეთ მის მნიშვნელობას. საერთო შრომის ბეგარა, შემოღებული და გაწესრიგებული მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მიერ, სოციალიზმი არ არის მარა ის აღარც კაპიტალიზმია.

ეს უკვე დიდი ნაბიჯია წინ სოციალიზმისკენ, და თუ დაცული იქნება დემოკრატიზმი, შეუძლებელია უკან, კაპიტალიზმისკენ, დახევა. უმჯობესია, რომ ძალმომრეობას არ მიმართოთ ფართო მასების წინააღმდეგ.

ომი და ბრძოლა არევ-დარევასთან.

კითხვა იმაზეა თუ რა ზომებით უნდა ვებრძოლოთ მომავალ კატასტროფას იწვევს შემდეგ კითხვას: რა კავშირი აქვს შინაურ პოლიტიკას გარეშე პოლიტიკასთან, ანუ რა ურთიერთობა სუფევს იმპერიალისტურ ცარცვა დარბევაზე აშენებულ ომსა და რევოლიუციონურ-პროლეტარიატულ ომს შორის.

ზევით ჩამოთვლილ კატასტროფასთან ბრძოლაში საჭირო საშველებები, როგორც უკვე იყო ზენიშნული, მეტათ გააძლიერებდენ და მაღლა ასწევდენს ჯარის მოგრეგბითი—სამხედრო ნაჯახ. ეს ერთი. მეორე—ეს ზომები. მოითხოვენ, რომ იმპერიალისტური ომი შეიცვალოს სამართლიან ომზე ე. ი. რომ ომი, რომელიც დღეს ხდება კაპიტალისტების სასარგებლოთ შეიცვალოს პროლეტარიატისთვის და საზოგადოთ მშრომელთა და ჩაგრულთა მასების სასარგებლო ომზე.

მართლაცა და ბანკების და სინდიკატების ნაციონალიზაცია, შეერთებული კომერციული საიდუმლოებეს გაუქმებასთან და მუშების კანტროლთან კაპიტალისტების წინააღმდეგ, მოასწავებ არა მარტო აურიცხელ ხალხის ძალ-ღონის და იარაღის დაზოგვას, არამედ მომეტებული ნაწილი მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებასაც თანამედროვე ომში, როგორც უკვე ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიურ ორგანიზაციებს ეკუთვნის. რუსეთში საკმარისად არის პური, ნახშირი, ნავთი, რკინა და სხვა, ამ მხრის ჩამ[illegible] მდგომარეობა უმჯობესია ვიდრე ევროპის, რომელიმე მეომარ სახელმწიფოს. ჩამოთვლილ სახსრებით ბრძოლა [illegible] დარევასთან გამოიწვევდა ფართო მასების თვით მოქმედებას და გაუმჯობესებ[illegible] და მათ მდგომარეობას; ბანკების [illegible] სინდიკატების ნაციონალიზაციით [illegible] სული გამოიყენებდა თავის რევოლიუციონ[illegible] და დემოკრატიზმს, რომ მთელი მეომ[illegible] აეყვანა ეკონომიური შეკავშირების [illegible] ღალ საფეხურზე.

ესერებს და მენშევიკებს ბურჟუაზიასთან „კოალიციის შეკვრის მგზავრ[illegible] რომელიც აფერხებდა კანტროლსა [illegible] ხელს უწყობდა საბოტაჟს, აპირებ[illegible] რომ განეხორციელებინათ ძალა-უფლ[illegible]ბის საბჭოების ხელში გადასვლა და [illegible] დეტებთანერთად სავარძლებში მინისტ[illegible] ბათ არ დაბრძანებულიყვნენ, არამ[illegible] ეხელმძღვანელათ მუშებისთვის და გლეხ[illegible] ბისთვის კანტროლის დაწესების საქმე[illegible] და კაპიტალისტებთან ომის წარმოებ[illegible] დღეს რუსეთი უკვე სრულიათ იქნებოდ[illegible] ეკონომიურათ გარდაქმნილი, სადაც [illegible] წა მოექოფოდა გლეხების ხელში [illegible] განხორციელდებოდა ბანკების და სინ[illegible] დიკატების ნაციონალიზაცია. ერთ[illegible] სიტყვით, რუსეთი ამ მხრით დღეს ყველ[illegible] კაპიტალისტურ ქვეყნებზე მაღლა იქნ[illegible] ბოდა დამდგარი. ხშირათ უთითებენ [illegible] ფრანგების გმირულ პატრიოტიზმზე [illegible] მათ სასწაულით სავსე სამხედრო ბრწყ[illegible] ნვალებაზე 1792—1793 წლებში. მაგ[illegible] რამ ავიწყდებათ ის ნივთიერი ისტ[illegible] რიკო ეკონომიური პირობები, რომ[illegible] თაც შესაძლებელი გახადეს ეს სასწაუ[illegible] ლები. ფრანგები რევოლიუციონერათ [illegible] გაუმკვლავდენ ძველ, დამაყენებულ [illegible] დრო მოქმედ ფეოდალიზმს მთელ[illegible] [illegible] რე შესანიშნავის სისწრაფით და გაბ[illegible] ედულობით ე. ი. რევოლიუციონურ დე[illegible] მოკრატიულათ შემდგა წარმოების მაღ[illegible] ლ საფეხურზე—თავისუფალ გლეხთ[illegible] მიწის მფლობელობაზე—აი ის ნივთიერ[illegible] რი ეკონომიური პირობები, რომლებმაც [illegible] ენით აუწერელ სისწრაფით იხსნეს ფრ[illegible] ანგეთი.

საფრანგეთის მაგალითი ჩვენ გვეუბ[illegible] ნება ერთს და მხოლოდ ერთს: თუ გვინ[illegible] და რომ რუსეთი ძლიერი გახადოთ მო[illegible] გერების მხრით, თუ გსურს გადაკ[illegible] ქცეთ მასსა სასწაულ მოქმედათ. ჩვენ [illegible] უნდა „იაკობინურის“ სისასტიკით და [illegible] დაუნდობლობით მოვსპოთ ყველა ძველ[illegible] და სრულიათ განვაახლოთ რუსეთის [illegible] მეურნეობა. ამისთვის მეოცე საუკუნეში [illegible] საკმარისი არ არის მხოლოდ მეფის ტა[illegible] ტის დამხობა. თვით საფრანგეთიც 125 [illegible] წლის წინეთაც არ დაკმაყოფილდა ამით. [illegible] ამისთვის არც ის არის საკმარისი, რომ [illegible] მარტო მიწები გადაეცეს გლეხობას. [illegible] თუმცა ესერებმა და მენშევიკებმა ესეც [illegible] არ გააკეთეს, ან რას გააკეთებდნენ, [illegible] როცა უნამუსოთ უღალატეს გლეხებს. [illegible] ჩვენ ვცხოვრობთ მეოცე საუკუნეში, [illegible] როდესაც თუ გვსურს ხალხის ცხოვრების [illegible] განახლება, საკმარისი არ არის მარტო [illegible] უფლების მოპოვება მიწაზე, თუ ეგეთივე [illegible] უფლება არ მოვიპოვეთ ბანკებზედაც.

მატერიალური ე. ი. წარმოებითი გა[illegible] ნახლება საფრანგეთისა მე 18-ტე საუ[illegible] კუნის დამლეგში დაკავშარებული იყო [illegible] პოლიტიკურ და სულიერ განათლებასთან [illegible] ერთის მხრივ და დემოკრატიის და პრო[illegible] ლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტ[illegible] ტურასთან მეორეს მხრით. (მაშინ ჯერ [illegible] კიდევ პროლეტარიატი განცალკევებული [illegible] არ იყო დემოკრატიიდან და ერთათ მო[illegible] ქმედებდნენ), რომელნიც შეუბრალებელ [illegible] ომს აწარმოებდნენ რეაქციონურ ელ[illegible]

ნტებთან. მთელი ხალხი და ნამეტანათ
ნაგრულთა კლასები გატაცებულნი იყვ-
ნ რევოლიუციონური აღგზნებული ენ-
ზიზმით: ყველა სამართლიანათ სთვ-
და ომს, როგორც მოგერებითი ბრძო-
ს და ისეც იყო. რევოლიუციონური
ურანგეთი თავს იცავდა ევროპის რეა-
ციონურ მონარქისტებისგან. არა 1792-
93 წლებში, არამედ გაცილებით გვიან,
ოცა რეაქციამ გაიმარჯვა შიგნით, ნა-
ოლეონის კონტრ-რევოლიუციონურმა
�ტატურამ გადაქცია მოგერებითი
ომი შეტევით ომზედ დაპყრობითი მიზ-
ებთ.

ასა ვხედავთ რუსეთში? ჩვენ ვაგრძე-
ებთ იმპერიალისტურ ომსა კაპიტალის-
ების სასარგებლოთ იმპერიალისტებთან
თანხმებით და საიდუმლო ხელშეკრუ-
ობის თანახმად, რომელიც შეიმუშავა
ფემ ინგლისის კაპიტალისტებთან. ია-
ხმად ამ საიდუმლო ხელშეკრულობისა
ესის კაპიტალისტებმა უნდა მიიღონ
ონსტანტინოპოლი, ლვოვი, სომხეთი
ა სხ.

დღევანდელი ომი რუსეთის მხრივ არის
ომი უსამართლო, რეაქციონური და მი-
ართული დაპყრობისკენ. ომის სოცია-
ური ხასიათი, მისი ნამდვილი მნიშვნე-
ობა დამოკიდებულია არა იმაზედ, თუ
ადა სდგას ლაშქარი, როგორც ეს ჰგო-
ათ ესერებს და მენშევიკებს, არამედ
ე პოლიტიკაზე, რომელსაც ომი აწარ-
ოებს. ე. ი. იმაზედ თუ რომელი კლასი
ადგას თავში და რა მიზნით აწარმოებს
ს ომსა. ომი-ეს გაგრძელებაა ძველი
ოლიტიკისა.

ყოველათ შეუძლებელია მოუწოდოთ
ალს ომში საკლეტათ საიდუმლო ხელ-
ეკრულობის სახელით, რომელსაც მიზ-
ად დაუსახავს დაპყრობა და მტაცებ-
ობა და იმავე დროს მოვითხოვოთ ხალ-
ისგან ენტუზიაზმი. რევოლიუციონურ
უსეთის მოწინავე კლასი, პროლეტა-
იატი, ნათლად ხედავს ომის უკანონო-
ას. ბურჟუაზია თუნდაც ბევრსა ცდი-
ობს დაამტკიცოს წინააღმდეგი, მაგრამ
ას ის ვერ ახერხებს და ფართო მასსა
ღმითი დღე უფრო და უფრო მეტად
ეწმუნდება ომის უსამართლობაში. რუ-
ეთის ორივე დედა-ქალაქის პროლეტა-
იატი საბოლოოთ ინტერნაციონალის-
ი გახდა.

ამის შემდეგ განა შეიძლება ლაპარაკი
ართო მასის სამხედრო ენტუზიაზმზე?

ერთი მეორეზე არის დამოკიდებული.
ინაური პოლიტიკა დაკავშირებულია
რეულზედ. შეუძლებელია გაიღვიძო
ვ დაცვითი ნიჭი ხალხში, რომელსაც
ი მიეცა შეძლება მოეხდინა ვაჟკაცუ-
ათ და გაბედულათ უდიდესი ეკონომი-
ური განახლება.

თუ გვინდა გამოიწვიოთ ხალხში გმი-
ული ენტუზიაზმი, უნდა მოვსპოთ ყო-
ელი კავშირი იმპერიალიზმთან, უნდა
ეუშვაათ მთელ ქვეყანის დემოკრატიუ-
ი ზავი; ომი არ უნდა გადიქცეს მტა-
ებლობის და დაპყრობითი მიზნების
ხსრათ, არამედ ომი უნდა იყოს სამარ
ლიანი, თავდაცვითი, რევოლიუციონუ
ი.

მხოლოთ სრული გაბედული შეწყვეტა
ვმირისა კაპიტალისტებთან, როგორც
ენი ქვეყნისა ისე უცხოელებისა' შეს-
ებს რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის
ნას, რომელიც მოქცეულია ყოველ მხ-
ოდან იმპერიალიზმის ბრუალებში.

რევოლიუციონური დემოკრატია და
ევოლიუციონური პროლეტარიატი.

დღევანდელ რუსეთში თუ დემოკრა-
ის სურს იყოს მართლა რევოლიუციო-
ური, ის უნდა პროლეტარიატთან დაკავ-
შირებით და თანხმობით უნდა მოქმედებ-
დეს, ვინაიდგან პროლეტარიატი ერთად
ერთი კლასია, რომელიც ბოლომდის
რევოლიუციონერი რჩება.

აი რა შედეგამდე მივყეკვართ კითხვას
იმაზედ, თუ რა საშუალებით უნდა
ვებრძოლოთ მომავალ დიად კატასტრო-
ფას.

ომმა შეჰქნა ისეთი გულსაზარი კრი-
ზისი, ისე დასჭიმა ხალხის ნიფთიერი
და ზნეობრივი ძალები, ისე შეანგრია
და ზარი დასცა თანამედროვე საზოგა-
დო ორგანიზაციებს, რომ კაცობრიობას
ერთი ღა დარჩენია: ან სულ მთლად
დაიღუპოს, ან თავისი ბედი და იღბალი
გადასცეს უკიდურეს რევოლიუციონურ
კლასს, რომელიც ერთად ერთი შესძ-
ლებს სწრაფად და რადიკალურათ ამ-
ყვანოს ცხოვრება წარმოების უმაღლეს
საფეხურზედ.

ისტორიული მიზეზების მთელმა რიგ-
მა, როგორც მაგალითად რუსეთის
კულტურული ჩამორჩენილება, განსა-
კუთრებითი გაპირება ომის წარმოება-
ში, „ცარიზმის" გადაჭარბებული სიდამ-
პალე, ჯერ კიდევ ცოცხლათ შენახული
ტრადიციები 1905 წლისა—ამ ისტო-
რიულმა მიზეზებმა ყველაზედ ადრე
რუსეთში გამოიწვია რევოლიუცია, რომ-
ლის მეოხებით რუსეთი სულ რამდენიმე
თვეში თავის პოლიტიკურის ფორმით
უკვე დაეწია დაწინაურებულ ქვეყნებს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა! ომი ულმო-
ბელია იგი შეუბრალებელი სიმწვავით
აყენებს კითხვას: ან უნდა დავღუპოთ,
ან უნდა დაეწიოთ დაწინაურებულ
ქვეყნებს და ეკონომიურათ კიდევაც
გავასწროთ მათ.

ეს შესაძლებელია, ვინაიდგან ჩვენს
წინ დგას არა ერთი ქვეყანა, მდიდარი
თავის გამოცდილებით, ტეხნიკით და
კულტურით. პროტესტი, რომელიც გაი-
სმა ევროპაში ომის წინააღმდეგ, ჩვენ
დიდ დახმარებას გვიწევს; ატმოსფერა
უკვე იყოლინთება მუშათა მსოფლიო
რევოლიუციის სულით, ჩვენ გვიტაცებს
და მიგვაქანებს წინ რევოლიუციონურ—
დემოკრატიული თავისუფლება. რაც ძა-
ლიან იშვიათად ხდება იმპერიალისტურ
ომის დროს.

ან დაღუპვა ან მთელი ძალღონით
წინ გაქანება! აი რა კითხვას გვისვამს
ისტორია.

პროლეტარიატის გლეხებთან განწყო
ბილება ამ მომენტში ამაოოლებს ძველს
ბოლშევიკურათ დაყენებულ კითხვას:
უნდა გამოვგლიჯოთ გლეხობა ბურჟუა-
ზიულ გავლენისგან. მარტო ამაშია რე-
ვოლიუციას ხსნის იმედი.

გლეხობა წარმოადგენს წვრილ ბურ-
ჟუაზიულ მასის უმრავლეს ნაწილს.

ჩვენმა ესერებმა და მენშევიკებმა
იკისრეს რეაქციონული როლი. დაუმორ-
ჩილეს გლეხობა ბურჟუაზიის გავლენას,
შეიყვანეს გლეხობა ბურჟუაზიასთან და
არა პროლეტარიატთან „კოლიციაში".

რევოლიუციით მოპოებული გამოცდი-
ლება სულ მოკლე ხანში სწრვნის და
ასწავლის მასას, ამიტომაც ესერების და
მენშევიკების პოლიტიკა სრულ კრახს
განიცდის: იგინი უკვე დამარცხდნენ
ორთავე სატახტო ქალაქებში. ორსავე
წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ
პარტიებში ძლიერდება „მარცხენა"
ოპოზიცია. პეტერბურგში ენკინისთვის
10-ში 1917 წელსა ესერებისგან მო
წვეულ კონფერენციაზედ უმრავლესობამ
2/3-მა, მემარცხენე ესერებმა, უარყვეს
ბურჟუებთან კოალიცია.

ესერები და მენშევიკები იმეორებენ
ბურჟუების დებულებას, რომელითაც
ისინი უპირდაპირებენ ერთმანეთს-„ბურ-
ჟუაზიას" და „დემოკრატიას". მაგრამ
ამისთანა დაპირდაპირებას არავითარი
აზრი არა აქვს. ვინაიდგან ეს მოკავშირ-
ნებს შედარებას „არშინისას" „ფუთი-
ანთან".

არის დემოკრატიული ბურჟუაზია და
არის ბურჟუაზიული დემოკრატია. მხო-
ლოთ მტკნარი უვიცობა ისტორიაში და
პოლიტიკურ ეკონომიაში, უარს ჰყოფს
ამას. ესერებმა და მენშევიკებმა მიმარ-
თეს შემცდარ დაპირდაპირების მეთოდს
იმ აზრით, რათა დაეჩრდილათ ის უტ-
ყუარი ფაქტი, რომ ბურჟუაზიის და
პროლეტარიატის შუა სდგას წვრილი
ბურჟუაზია. წვრილი ბურჟუაზია, თავის
ეკონომიურის კლასიურის მდგომარეო-
ბით, ქანაობს ბურჟუაზიის და პროლე-
ტარიატის შუა.

ესერები და მენშევიკები წვრილ ბურ-
ჟუაზიასერეკე ბიან ბურჟუაზიისკენ კავში-
რის შესაკავავად.

ამაშია მთელი არსი იმათ „კოალიცი-
ისა." კოალიციონურ სამინისტროსი, კე
რენსკის მთელი პოლიტიკისა, ამ ნახევ-
რათ კიპიურ კადეტისა. რევოლიუციის
ნახევარ წლის განმავლობაში ამ პოლი-
ტიკამ უკვე ტისერ მოიტეხა.

კადეტებს გესლანათ უხარიან: „ჰე,
გაკოტრდა თუ არა რევოლიუცია, რო-
მელმაც ვერც ომს უშველა და ვერც
არევდარევის საქმე გამოასწორა"-ო.

ტყუილია! გაკოტრდნენ კადეტები ესე-
რებთან და მენშევიკებთან ერთად, რო-
მელთა ბლოკი ნახევარ წელს განაგებდა
რუსეთს; ამ ნახევ. წლის განმავლობაში
უმწირვალესობამდის მივიდა არევდარე-
ვა, ყველაფერი დომბალივით აირია და
მეტად გართულდა ომის მდგომარეობა.

მენშევიკების და ესერების კავშირი
ბურჟუაზიასთან, რამდენათაც უფრო მა-
ლე და სრულიათ გაკოტრდება, იმდენათ
ხალხი უფრო მეტს შეიგნებს და შეის
წავლის, იმდენათ იგი მალე მიაგნებს
სახსნელ გზას. ეს გზა არის კავშირი
ულარიესი გლეხობისა პროლეტარიატ-
თან.

V დეკრეტი

მუშათა და გლეხთა მთავრობის

(წოდების და სამოქალაქო ჩინის მოსახპობის შესახებ).

მუხ. 1. რუსეთში დღემდე არსებული
წოდებები და მოქალაქეთა წოდებრივათ
დაყოფა, წოდებრივი უპირატესობა ანუ
შეზღუდვა, წოდებრივი ორგანიზაციები
და დაწესებულებანი, აგრეთვე ყველა
ნაირი სამოქალაქო ჩინი სამუდამოთ
ისპობა.

მუხ. 2. ყველა წოდება თავად-აზნა-
ურობის, ვაჭრების, მეშჩანებ-ს, გლეხთა
და სხვა, აგრეთვე ტიტულები, თავადი,
გრაფი და სხვა და სახელწოდება სამო-
ქალაქო ჩინების (ტაინი და სტატსკი
სოვეტნიკის) და სხვა ამგვარი ისპობა
და მყარდება ერთი საერთო სახელწო-
დება რუსეთის ყველა მცხოვრებთათვის
რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქისა.

მუხ. 3. სათავად-აზნაურო წოდებრივი
დაწესებულებათა ქონება დაუყონებლივ
უნდა გადაეცეს სათანადო ერობის თვით-
მართველობათ.

მუხ 4. ვაჭრებისა და მეშჩანების სა-
ზოგადოებათა ქონება დაუყონებლივ
უნდა გადაეცეს საქალაქო თვითმართვე-
ლობათ.

მუხ. 5. ყველა წოდებრივი დაწესებუ-
ლებები და საქმეები, არქივი და სხვა
დაუყონებლივ გადავა სათანადო ქალა-
ქისა და ერობის თვითმართველობათა
განკარგულებაში.

მუხ. 6. დღემდე არსებულ კანონთა
ყველა სათანადო მუხლი გაუქმებულია.

მუხ. 7. ეს დეკრეტი ძალაში შეიტ
დღიდან მისი გამოქვეყნებისა და სისრულ-
ეში უნდა მოვიდეს ადგილობრივ მუ-
შათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტა-
ტების საბჭოების მიერ.

ხელს აწერენ:

სახალხო კომისარების საბჭოს თავ-
მჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)
საბჭოს საქმეთა გამგე ბ. ბონ-ბრუევიჩი
საბჭოს მდივანი ნ. გორბუნოვი.

მეომარ ქვეყნების ხალხთა მიმართ.

ჩვენ წინადადებაზე, რომ ყველა ფრო-
ნტებზე დაუყონებლივ მორიგება ჩამო-
ვარდეს, და მით დემოკრატიული ზავის
უკონტრიბუციო და უანექსიო—პირო-
ბების შესამუშავებლათ მოლაპარაკება
დაიწყოს, გერმანიის მთავარ სარდალმა
თანხმობა გამოგვიცადა. რესპუბლიკის
ჯარების უმაღლესმა მთავარ სარდალმა
პრაპორშჩიკმა კრილენკომ წინადადება
მისცა, რომ დროებითი მორიგება ფრო-
ნტზე ხუთი დღით, ე. ი. 19 ნოემბრამ-
დე გადაიდოს, რომ ერთხელ კიდევ
მიეცეთ წინადადება მოკავშირე სახელ-
მწიფოებს, რათა უკანასკნელათ გამოირ-
კვეს, თუ როგორ უყურებენ ზავზე მო-
ლაპარაკების საქმეს. სამხედრო მოქმე-
დება ორივე მხრის შეთანხმებით რუსე-
თის ფრონტზე უკვე შეწყვეტილია. ამ
ხუთი დღის განმავლობაში ჯარის ნაწი-
ლების გადაყვან-გადმოყვანა, ცხადია,
რომ არც ერთი მხრიდან არ უნდა მოხ-
დეს.

გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმულია.
მუშათა და გლეხთა ძალება-მოსილმა რე-
ვოლიუციამ რუსეთში ზავის საკითხი
პირდაპირ დაუყენა. რეგვეს, საქმის შემ-
დეგ და შემდეგ გადადების და ბიუროკ-
რატიული-ვანცელიარული შეთანხმების
ხანა დასრულდა. ამ ერმათ ყველა მეო-
მარ ქვეყნების ყველა მთავრობები, ყვე-
ლა კლასები და ყველა პარტიები მო-
წოდებული არიან პირდაპირ უპასუხონ
კითხვაზე: თანახმა არიან, თუ არა, რომ
19 ნოემბერს (1 დეკემბერს ახალი სტი-
ლით) შეუდგენ მოლაპარაკებას დროე-
ბით მორიგებაზე და საყოველთაო
ზავზე, ჰო ან არა.

ამ კითხვის პასუხზეა დამოკიდებული:
მშრომელნი ქალაქისა და სოფლისა თა-
ვიდან აიშორებენ ამ ზამთრის კამპანიას,
ევროპა კიდევ განაგრძობს ძმათა ჟლე-
ტა-ხოცვას, თუ არა.

ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო ამ
კითხვით მივმართავთ ჩვენი ქვეყნის
მოკავშირე სახელმწიფოებს: საფრანგეთს,
დიდ ბრიტანეთს, იტალიას, შეერთებულ
შტატებს, ბელგიას, სერბიას, რუმინიას,
იაპონიას, ჩინეთს. ჩვენ ვეკითხებით მათ
მათიევე ხალხის წინაშე, მთელი ქვეყნი-
ერობის თვალწინ: თანახმა არიან ისინი,
თუ არა, ჩვენთან ერთათ 19 ნოემბერს
შეუდგენ ზავზე მოლაპარაკებას?

ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო მი-
ვმართავთ მოკავშირე ხალხთ და უწი-
ნარეს ყოვლისა, მათ მშრომელ ნაწილს.
თანახმა არიან ისინი რომ დღევანდელი
ხოცვა-ჟლეტა, უაზრო და უშინაო გაგ-
რძელდეს მანამდე, ვიდრე ევროპის მთე-
ლი კულტურა ძირფესვიანათ არ განა-
დგურდება. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მო-
კავშირე ქვეყნების მუშათა პარტიებმა
დაუყონებლივ გვიპასუხონ: ომი თუ

არა მათ, რომ 19 ნოემბერს ზავზე მოლაპარაკება დაიწყონ.

კითხვა პირდაპირ არის დასმული.

ჯარის კაცნო, პროლეტარებო, მშრომელნო, გლეხნო, ვსურთ თქვენ, თუ არა, რომ ჩვენთან ერთათ გადადგათ გადამწყვეტი ნაბიჯი ხალხთა მორიგების და ზავისაკენ.

ჩვენ სახალხო კომისარების საბჭო, მიგმართავთ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის, ბულგარეთ-ს მუშათა მასას. ზავი და მშვიდობა, საითკენაც ჩვენ მოუწოდებთ, არის ზავი და მშვიდობა ხალხთა შორის. ის უნდა იქნეს საერთაერთო პატიოსანი შეთანხმება, რომელიც ყოველ ხალხს თავისუფალ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას უქადის. ასეთი ზავის ჩამოგდება მხოლოთ პირდაპირი, გაბედული რევოლიუციონური ბრძოლით შეიძლება ყველა იმპერიალისტური პლანებისა და მტაცებლურ მისწრაფებათა წინააღმდეგ.

მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ უკვე წარმოადგინა თავისი პროგრამა ზავის შესახებ, ჩვენ გამოვაქვეყნეთ მოკავშირეებთან მეფისა და ბურჟუაზიის მიერ დადებული საიდუმლო ხელშეკრულებანი და გამოვაცხადეთ, რომ ეს ხელშეკრულება რუსეთის ხალხისათვის საგალდებულო არაა. ჩვენ ახლა წინადადებას ვაძლევთ ხალხთ, რომ უთანიერთშორის ახალი ხალშეკრულობა აშკარათ შეკრან შეთანხმებისა და თანამშრომლობის საფუძველზე დამყარებული. ჩვენ წინადადებას მოკავშირე ქვეყნების ოფიციალური და ოფიციოზური წარმომადგენლები მმართველი კლასებისა უარყოფით შეხვდენ: ისინი რუსეთის საბჭოთა მთავრობას არ სცნობენ და მასთან ზავზე მოლაპარაკებას საჭიროთ არ თვლიან. ძლევა-მოსილ რევოლიუციის მთავრობა ევროპის დიპლომატიის პროფესიონალების ცნობა—აღიარებას არ საჭიროებს.“

მაგრამ ჩვენ ვეკითხებით ხალხთ: მათ აზრსა და ზრახვას გამოხატავ-ს ეს რეაქციონური დიპლომატ-ი, თუ არა? თანა ხმა-არიან ისინი, რომ ნება მისცენ დიპლომატებს ხელიდან გაუშვან ასეთი დიადი ხელსაყრელი მომენტი ზავის ჩამოსაგდებათ, რომელიც რუსეთის რევოლუციამ შექმნ-ა? პასუხი ამ კითხვაზე ახლავე მიღებულ უნდა იქნეს, და პასუხი ეს უნდა დაამოწმონ საქმით და არა მარტო სიტყვით. რუსეთის ჯარის და რუსის ხალხს არ სურს კიდევ ელოდოს. 19 ნოემბერს ჩვენ შეუდგებით ზავზე მოლაპარაკებას. თუ მოკავშირეები წარმომადგენლებს არ გამოგზავნიან, ჩვენ მარტოთ მარტო შეუდგებით გერმანელებთან. ზავზე მოლაპარაკებას.

ჩვენ გვსურს საყველეოთაო ზავი ჩამოვაგდოთ; მაგრამ, თუ მოკავშირე ქვეყნების ბურჟუაზია გვაიძულებს ჩვენ სეპარატიული ზავი შეკვრათ, ამის პასუხის მგებელი ერთიანათ თვითონ იგი გახდება. ჯარის კაცნო, მუშებო, გლეხნო საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა, შეერთებული შტატებისა, ბელგიისა და სერბიისა! 19 ნოემბერს დაიწყება ზავზე მოლაპარაკება. ჩვენ ველით თქვენს წარმომადგენლებს. იმოქმედეთ! არც ერთი წუთი არ დაკარგოთ! ძარს-ზამორის კამპანია, ძარს ომი!

გაუმარჯოს ზავს და ხალხთა ძმობა-ერთობას!

გარეშე საქმეთა კომისარი ლ. ტროცკი.

თავმჯდომარე სახალხო კომ. საბჭ. ულიანოვი.

ბაქოს მუშათა საბჭო და ამიერ-კავკასიის მთავრობა.

ამ დღეებში ბ. გეგეჭკორმა ბაქოს მუშათა საბჭოს თავმჯდომრისაგან, სტ. შაუმიანისგან დეპეშა მიიღო: კაზაკთა ჯარის ნაწილებს ბაქოში გზავნიან, გთხოვთ ამიერიდან არც კაზაკები და არც სხვა ნაწილები ბაქოში არ გამოგზავნოთ. წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათ არ მივიღებთ. აქ ჩამოსულ კაზაკებს ჩრდილოეთ კავკასიისკენ ვისტუმრებთო. ამავე დროს თბილისს მოვიდა და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დამოუკიდებელ თავმჯდომარეს წარუდგა ბაქოს მუშათა საბჭოს დელეგაცია; ამხ. შაუმიანი, პოდპრ. იარიშევი და მატროსი ნიკოლაევი. დელეგაციამ ბ. გეგეჭკორს განუცხადა, რომ ბაქოს საბჭომ ძალა-უფლება ხელთ აიღო და იგი ამიერიდან სხვა მთავრობას აღარ სცნობს გარდა საბჭოების ცენტრალურ მთავრობისა, გარდა ხალხის კომისართა საბჭოისა. ბაქოს ადგილობრივი მთავრობა არ ცნობს ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელ დროებით“ მთავრობას და მოითხოვს, რომ ეს ხალხის ზურგს უკან შემდგარი მთავრობა დაემორჩილოს სრულიათ რუსეთის ხალხის კომისართა საბჭოს.

პასუხათ ბ. ვეგეჭკორმა დელეგაციას აღუთქვა, რომ ამიერიდან ბაქოში ჯარის ნაწილები ბაქოს მუშათა საბჭოს დაუკითხავათ და ნებადაურთველათ აღარ გაგზავნება.

ქართული პოლკის ჯარისკაცთა რეზოლიუცია.

ჩვენ მეზუთე ქართული პოლკის ჯარისკაცებმა, ოცეცხვით 300-დე კაცმა მოვისმინეთ რა მომდინარე მომენტზე ამხ. სოხაძის მოხსენება, გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია.

1. სალამს ვუძღვნით პეტროგრადის გმირ—მებრძოლთ, რომელთაც თავი დასდეს ზავისა და პროლეტარულ საქმისათვის: საშუალება მისცეს მუშათა და სალდათთა საბჭოებს, რომ ძალა-უფლება ხელთ იპყრონ.

2. მხურვალე სალამი ფრონტზე მებრძოლ გმირ—ჯარისკაცთ, რომელთაც გაფინტეს კონტრ-რევოლუციური მთავარ ბანაკის ჯგუფი და დატყვევეს მათი მთავარ სარდალი დუხონინი.

3. ჩვენ, ქართველი ამხანაგი ჯარის კაცნი ხელს ვაძლევთ ჩვენს ამხანაგ რუს ჯარისკაცთ და ვცნობთ ძალა-უფლებას მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებისას და მათგან არჩეულ ხალხის კომისარებს, აგრეთვე საბხედრო-რევოლიუციურ კომიტეტს.

4. კრება ერთხმათ აღგენს, რომ არავითარი ნაციონალური დანაწილება—გათიშვა არ ხდებოდეს ჩვენს რაზმებში, რათა შიერიებული ძალით შეეძლოთ თავისუფლების დაცვა.

5. მოილი ჩვენი ძალღონით დავიცავთ ჩვენს რევოლიუციონურ ორგანოებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ.

კრების თავმჯდომარე ძ. ი ბ ნ ა ძ ე.

რუსეთის ქრონიკა.

პეტროგრადი.

„Нов. Время“-ს სტამბა დაიკავეს „солдат. правда“ ის საბეჭდავათ.

არჩევნები კრონშტადტში.

ბალშევიკებმა დამფ. კრების არჩევნების დროს მიიღეს 17.027 ხმა, მენშევიკებმა—2080, უპარტიოებმა—1081, ესერ-ობორონცებმა—680.

არჩევნები პეტროგრადში.

საბოლოოთ გამოირკვა არჩევნების შედეგი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 928, 354 ამათგან ბალშევიკებმა მიიღეს—415 587, თითქმის ნახევარი; სოციალისტ-რევოლიუციონერებმა—149. 644, მენშევიკ-ობორონცებმა—16.834, ს. დ. ინტერნაციონალისტებმა—10.531, ს. დ. „სოციალისტურმა“ ბლოკმა (სახ. ე. წ. „სოციალისტები, ესერი—ობორონცები“ და პლეხანოველები („единство)—50 734, კადეტებმა—245,628. არჩეული არიან ბალშევიკების მხრით 6: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, კამენევი, კოლონტაი და სტალინი (ჯუღაშვილი). კადეტებმა გაიყვანეს 4: მილიუკოვი, ვინავერი, კუტლერი და როდიჩევი. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა (ობორონცებმა) 2: ჩერნოვი და კამკოვი. ყველა დანარჩენი სიები დარჩენ უდეპუტატოთ.

პეტროგრადი. გლეხთა სეზდი.

---

15 ნოემ. იხსნება საგანგებო სეზდი. ამხ. ზუტინოვი აუწყებს კრებას, რომ ყველა პირობები გაერთიანების ორი კომიტეტის: ცენ. აღმ. კომიტეტის მუშ. და სალ. დეპუტატების საგლეხო დეპუტატების აღმ. კომიტეტთან მიღებულია ერთხმათ ორივე ორგანო ერთდება პარიტეტულ (თანასწორობის) პრინციპზე. ამ ცნობას მთელი სეზდი აღფრთოვანებით ეგებება, შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს სიას კანდიდატებისას აღმ. კომიტეტში, წარმოდგენილი სხვა და სხვა ფრაქციათა მიერ. სიას კრება ამტკიცებს ერთხმას ამის გამო კრებას სალამით მიმართავს ცენ. აღმ. კომიტეტის სახელით ამხ. სვერდლოვი. ის ლაპარაკობს გლეხების, მუშების და სალდათებ-ს კავშირზე, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაშლის, იგი იწვევს მთელ სეზდს სმენი ინსტიტუტში ხადღეისასწავლო სხდომაზე. მთელი ზეზდი ორი სამხედრო რაზმით და მუსიკით მწყობრათ გაემართა პეტროგრადის ქუჩებზე.

ცნობა მოვიდა, რომ გენ. დუხონინ-ი მატროსებს და წითელ-გვარდიელ-ებ მოუკლ-ვთ.

პეტროგრადი.

სახ. კომისართა საბჭოს ბრძანებ-ა სხვა და სხვა მხრიდან მოგილოცავ-ს ლოვდება ჯარი ყოფილი მთავარ-ს ლის დუხონინის და სტა